KARR0178982595919

№8071/0602 **18 / დეკემბერი / 2019 წ.**

სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების
ცენტრის დირექტორს ქ-ნ მაკა გვარამიას
ამავე ცენტრის დირექტორის მოადგილის
თეიმურაზ ჯიშკარიანის

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო მაკა,

მოგახსენებთ, რომ მედიკამენტ „სპაზმოფარმი“-ს შესყიდვის მიზნით, 2019 წლის 08 აპრილს სს „გეფა“-სთან გაფორმდა ხელშეკრულება N01/30/074-19. აღნიშნული მედიკამენტი შეძენილია კოსნოლიდირებული ტენდერის გზით. ვინაიდან სატენედერო მოთხოვნებში არ იყო მითითებული მედიკამენტის იტრავენური გამოყენების შესახებ ინფორმაცია, მოხდა სიტყვიერი კომუნიკაცია მომწოდებელთან და გადამოწმდა მედიკამენტის ანოტაცია ინტერნეტის მეშვეობით, რითაც დადასტურდა, რომ ზემოთ აღნიშნული მედიკამენტის გამოყენება შესაძლებელია ინტრავენურად. საჭირო რაოდენობის მოთხოვნის შემდგომ, მოწოდებული მედიკამენტის ანოტაციის გაცნობისას, გაირკვა, რომ აღნიშნულ მედიკამენტი გამოიყენება მხოლოდ ინტრამუსკულარულად. აღნიშნულის შესახებ ეცნობა მომწოდებელს და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან მივიღეთ ინფორმაცია, რომ აღნიშნულ მედიკამენტზე კიდევ იქნა გამოცხადებული ტენდერი, რომლის ფარგლებშიც შპს „პსპ ფარმა“ გამარჯვებულად გამოვლენილი იქნა 2019 წლის 22 მაისს. შესაბამისად, მოხდა ჩვენს მიერ ხელშეკრულების გაფორმება შპს „პსპ ფარმა“-სთან 2019 წლის 27 მაისს, მედიკამენტ „ბარალგინი“-ს შესყიდვის მიზნით.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს, სს „გეფა“-სთან გაფორმებული ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების გაუქმება.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების
ცენტრის (მერია) დირექტორის მოადგილე

თეიმურაზ ჯიშკარიანი